ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3137973

ნომერი: AR1483860

თარიღი : 07.03.2017

გაცემის თარიღი : 09.03.2017

გაცნობის თარიღი : 09.03.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კარლო ალექსიძე პ/ნ 01023005908
- თბილისი ს. დიღომი ხატაეთის ქ. N 6

ორგანიზაცია:
- შპს "ალდა ჯგუფი" კოდი: 405104943

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.12.2016 წლის №2988035 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 07.03.2017 წლის № AR1483860 განაცხადი ამავე სამსახურის 08.12.2016 წლის №2988035 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 08.12.2016 წლის №2988035 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, შპს "ალდა ჯგუფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.72.14.036.211) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 08 დეკემბრიდან 2018 წლის 08 ივნისის ჩათვლით.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცადებელი ითხოვს სამსახურის 08.12.2016 წლის №2988035 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას და სარდაფის ფართობის (850.2კვ.მ) ნაცვლად, შემდეგი მაჩვენებლების დაფიქსირებას: სარდაფის ფართობი - 289.4 კვ.მ და ავტოსადგომების ფართობი -560.8 კვ.მ.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები და -3.300 ნიშნულის გეგმა შესაბამისობაში არაა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. კერძოდ, ცალკე გასასვლელის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი არ არსებობს და ავტოსადგომის ფართში იანგარიშება აღნიშნული ფართიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უარი ეთქვას განმცხადებელს, 07.03.2017 წლის № AR1483860 განაცხადში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.